ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №09/02/23

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 09 თებერვალი 2023 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია (შემდგომში „დამკვეთი“), რომელსაც წარმოადგენს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი შალვა შავიშვილი და მეორეს მხრივ – აუდიტურ კომპანია „კომპაუდს (შემდგომში „შემსრულებელი“) შორის, რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორის მინდობილი პირი ნუგზარ ხიაჯკაძე.

ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]''ქვეპუნქტითა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანის მიერ მოწოდებული მოძრავი ქონების (3 ერთეული დანადგარის -ქვის სამსხვრევი დანადგარი საცერით, ქვის სარეცხი დანადგარი L-6მ და კონვეიერი L-8მ) საბაზარო ღირებულების განსაზღვრა (CPV კოდი 79400000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს **500.00 (ხუთასი** ლარი**)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „დამკვეთს“ უფლება აქვს:

4.1.1.„შემსრულებლისგან“ მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად გაწევა მიმდინარე წლის 09 თებერვლიდან არაუგვიანეს 21 თებერვლამდე.

4.1.2.„შემსრულებლისგან“ მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დაცვა;

4.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

4.2.1.გადასცეს „შემსრულებლს“ ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება და დაკავშირებულია ხელშეკრულების საგანთან;

4.2.2.შეუქმნას „შემსრულებელს“ შეფასების ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო პირობები;

4.2.3.უზრუნველყოს აუდიტური შემოწმებით და ინვენტარიზაციით გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.3. „შემსრულებლს“ უფლება აქვს:

4.3.1.„დამკვეთისაგან“ მოითხოვოს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა;

4.3.2.უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე იმ შემთხვევაში, თუ „დამკეთი“ არ უზრუნველყოფს მისთვის ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენას;

4.3.3.მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების სრული და დროული ანაზღაურება;

4.3.4.„დამკევთისაგან“ მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

4.4. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

4.4.1.ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.4.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას დაიცვას საქართველოს კანომდებლობა, საქართველოში მოქმედი აუდიტური სტანდარტები და ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;

4.4.3.საიდუმლოდ შეინახოს აუდიტური შემოწმებისას **(**მომსახურების გაწევისას**)** მიღებული ყველა სახის ინფორმაცია.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით აუდიტური დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ეძლევა ამ ხელშეკრულების ხელის მომწერ პირებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ზედამხედველობასა და კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მთავარი ბუღალტერი გვიჩია მარი.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. „შემსრულებელი“ იძლება გარანტიას, რომ იგი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალხარისხოვნად გაწევას და რომ მისი ქმედებით ზარალი არ მიადგება „დამკვეთს“.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **5** საბანკო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება „შემსრულებლის“ საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჯიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას დამკვეთი ორგანიზაციისათვის;

9.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **2%**-ს;

9.4. თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „დამკვეთი„ არ არის ვალდებული წარმოუდგინოს „შემსრულებლის“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სუბკონტრაქტორები

10.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, „შემსრულებელმა“ წერილობით უნდა აცნობოს „დამკვეთს“ ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს „დამკვეთს“ მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში;

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და „შემსრულებლისათვის“ ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა“ და/ან „შემსრულებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდევმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1. გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში „დამკვეთს“ ერიცხება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების **0.1%**-ის ოდენობით;

12.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულების **5.1.1.** ქვეპუნქტში გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.1%**-ის ოდენობით;

12.3. თუ „დამკვეთი“ ვერ უზრუნველყოფს „შემსრულებისათვის“ აუდიტის საგანთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, „შემსრულებელი“ იტოვებს უფლებას შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

12.4. „შემსრულებლს“, აუდიტური მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ეკისრება მიყენებული ზარალის ანაზღაურების (ქონებრივი) პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშერულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულბეს სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4. „დამკვეთს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „დამკვეთისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5. ამ მუხლის მე-**5** პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „დამკვეთი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. დავების გადაწყვეტა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023** წლის 30 მარტამდე.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **2** ეგზემპლარად **(**ერთი დამკვეთს**,** ერთი შემსრულებელს**).**

დამკვეთი
შპს ,,სახლმწიფო სამშენებლო კომპანია“

მის: ქ.თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის №21
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
შალვა შავიშვილი

State construction company LTD
Digitally signed by State construction company LTD
Date: 2023.02.10 11:08:08 +04'00'

შემსრულებელი

აუდიტური კომპანია „კომპაუდი“
ქ.თბილისი. წერეთლის გამზ. №95ა
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ა/ა**№** GE62BG0000000192631800,
კოდი BAGAGE 22
ს/კ 202385169

დირექტორის მინდობილი
ნუგზარ ხიჯაკაძე

LTD kompaudi
Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2023.02.09 13:43:52 +04'00'